Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

2021 წლის თებერვლის თვეში, საქართველოს საგადასაახდო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის პროექტი

კანონპროექტზე თითქმის რვა წლიანი მუშაობის შემდეგ, საქართველოს პარლამენტში მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის პროექტი დარეგისტრირდა განსახილველად.

კანონპროექტის შემუშავება განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. არსებული მეწარმეთა შესახებ კანონი არ არეგულირებს სამეწარმეო ურთიერთობის მრავალ ასპექტს, რაც მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის მეწარმეობის განვითარებისთვის, სამეწარმეო საზოგადოების შიდა საკითხების გადაწყვეტისთვის, ინვესტორთა და მესამე პირთა დაცულობის თვალსაზრისით. ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ არსებული კანონი საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების გადაჭრისთვის მხარეთა თავისუფლების პრინციპს აღიარებს და ამგვარად, სამეწარმეო ურთიერთობების განვითარება მეტწილად საზოგადოებების წესდებებზეა კანონით მინდობილი. საკანონმდებლო რეგულირების სიმწირის შედეგია სწორედ კორპორატიული მართვის დაბალი სტანდარტები ქვეყანაში, პარტნიორთა ქონებრივი უფლებების დაცულობის, ანგარიშვალდებულების, ფინანსური უფლებების და კორპორატიული პრაქტიკის თვალსაზრისით, რაც ხშირად ხანგრძლივი და ხარჯიანი სასამართლო განხილვებისთვის ბიძგის მიმცემია.

პრობლემების გადაწყვეტის მიზნით ახალი კანონით მაქსიმალურად შემოთავაზებულია ყველა არსებული თეორიული და პრაქტიკული ხარვეზის დარეგულირება, შესაბამისად კანონპროექტის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა აკადემიური წრეების კვლევები, არსებული სასამართლო პრაქტიკა, ასევე საერთაშორისო გამოცდილება, მეტწილად ევროკავშირის საკორპორაციო სამართლებრივ დირექტივებში ასახული წესების კანონპროექტში ტრანსპლანტაციის გზით.

გამოსაყოფია კანონპროექტის შემდეგი სიახლეები:

- ხდება საკორპორაციო სამართლებრივი დისპოზიციური და იმპერატიული ნორმების გამიჯვნის საკანონმდებლო რეგლამენტირება - დგინდება, რომ სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში, დისპოზიციურია მხოლოდ ის ნორმა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს აქციონერების მიერ სააქციო საზოგადოებისთვის სხვაგვარი რეგულაციის შეთანხმების შესაძლებლობაზე, ხოლო სხვა სამეწარმეო საზოგადოებების შემთხვევაში, დისპოზიციურია ყველა ნორმა, გარდა იმ ნორმებისა, რომლებიც უშუალოდ ეხება მესამე პირთა ინტერესებს.
- ერთმანეთისგან იმიჯნება სადამფუძნებლო შეთანხმება და წესდება და დგინდება, რომ წესდების სტანდარტიზებული ფორმები მხოლოდ საბაზო ინფორმაციის შემცველი იქნება, მაშინ როცა სადამფუძნებლო შეთანხმება ინდივიდუალიზებული დოკუმენტი იქნება, სამეწარმეო საზოგადოების შიდა „კონსტიტუციის“ მნიშვნელობით.
- იცვლება საფირმო სახელწოდების მარეგულირებელი წესები ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში და დგინდება, რომ სხვა საზოგადოებების მსგავსად, ინდივიდუალურ მეწარმესაც აქვს ნაგულვები სახელწოდების გამოყენების შესაძლებლობა.

- კანონპროექტით დგინდება საქმიანი წერილის მინიმალური რეკვიზიტები და შეტყობინების ჩაბარების წესები.
- შენატანთან დაკავშირებული რეგულირების თანახმად, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის კაპიტალში შენატანი არ შეიძლება იყოს მომსახურების გაწევა ან სამუშაოს შესრულება.
- კანონპროექტი ერთმანეთისგან მიჯნავს კაპიტალის ტიპებს. „განთავსებული კაპიტალი“ ეწოდება თანხობრივ ოდენობას, რომელზეც თანხმდებიან დამფუძნებელი პარტნიორები და მიუთითებენ სადამფუძნებლო შეთანხმებაში. სააქციო საზოგადოების გარდა, განთავსებული კაპიტალის არსებობა არ არის სავალდებულო სხვა ფორმის სამეწარმეო საზოგადოებებისთვის. თავისი ბუნებით, განთავსებული კაპიტალი ე.წ. საწესდებო კაპიტალის ექვივალენტია.
- პარტნიორთა საერთო კრების ჩატარების წესი კრების მხოლოდ ერთხელ მოწვევის შესაძლებლობას ითვალისიწინებს და ადგენს, რომ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება კრებაზე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.
- მოქმედ მეწარმეთა შესახებ კანონში ერთ-ერთ საკვანძო ხარვეზს წარმოადგენს ე.წ. deadlock შემთხვევა დაკავშირებული დირექტორის დანიშვნასთან. საზოგადოებაში სადაც ხმათა თანაბარი რაოდენობაა პარტნიორებს შორის, დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს არ გააჩნია კომპეტენცია ჩაერიოს და დანიშნოს საზოგადოების დირექტორი. აღნიშნული ხარვეზი კანონპროექტის მიღების შემდეგ აღმოიფხვრება, რადგან კანონპროექტი ითვალისწინებს პარტნიორის განცხადების საფუძველზე ხელმღვანელის დანიშვნას სასამართლოს მიერ;
- კანონპროექტის მნიშვნელოვანი სიახლეა საკორპორაციო სამართლებრივი ისეთი ინსტიტუტების კანონით შემოღება, როგორიცაა: „სამეწარმეო გადაწყვეტილებების თავისუფლების წესი“ (ე.წ. business judgement rule) და „სამეწარმეო შესაძლებლობის მითვისება“.
- კანონპროექტი აწესრიგებს სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მეწარმის რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანის საკითხებს. არეგულირებს საზოგადოებების შერწყმისა და გაყოფის პროცესს, მათ შორის, ადგენს შერწყმის და გაყოფის სხვადასხვა სახეებს.
- სიახლეს წარმოადგენს პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს მიერ.
- იმ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელწოდებას, რომლის პარტნიორი იქნება შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე იურიდიული პირი (შპს, სს, კოოპერატივი), უნდა დაემატოს შესაბამისი აღნიშნვნა: „შეზღუდული პასუხისმგებლობის სპს“ ან „შეზღუდული პასუხისმგებლობის კს“.
- სიახლე შეეხება კომანდიტური საზოგადოების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, კერძოდ კომანდიტს საზოგადოების ხელმძვანელობის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს წესდებით, კომპლემენტართა გადაწყვეტილებით, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება - მხოლოდ მინდობილობით, სახელშეკრულებო წარმომადგენლობის სახით, კომპლემენტართა გადაწყვეტილებით.
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში კაპიტალის მოზიდვის გამარტივებისთვის დასაშვები ხდება წილების დაყოფა კლასებად სააქციო საზოგადოების მსგავსად. შპს-ს უფლება ეძლევა გამოუშვას როგორც ნომინალური ღირებულების მქონე, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები. შპს-ს ასევე უფლება ექნება ჰქონდეს განთავსებული კაპიტალი, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამზე ნაკლები.
- შპს-ში მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ დივიდენდის განაწილება დასაშვები ხდება როგორც საზოგადოებაში მოგების არსებობის შემთხვევაში, ასევე მოგების არარსებობის პირობებში, თუკი საზოგადოებას გააჩნია წმინდა აქტივი ან თუ საზოგადოების წმინდა აქტივი აღემატება განთავსებულ კაპიტალს.
- ხდება საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის და გარიცხვის რეგულირება, რაც ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია

ქართულ დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში.

- მნიშვნელოვანია, რომ სააქციო საზოგადოების დაფუძნებისთვის დგინდება მინიმალური განთავსებული კაპიტალის სავალდებულოობა, კერძოდ, სააქციო საზოგადოების მინიმალური განთავსებული კაპიტალი შეიძლება იყოს 25 000 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ამავდროულად, კანონის რეგულირება გავრცელდება არსებულ სააქციო საზოგადოებებზეც, კერძოდ მინიმალური განთავსებული კაპიტალის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით არსებულ სააქციო საზოგადოებებს კანონის ამოქმედებიდან ორი წლის ვადა ექნებათ განსაზღვრული.
- სააქციო საზოგადოების კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით კანონპროექტი ითვალისწინებს მაქსიმალურ ვადას ხუთი წლის ოდენობით. წესდებით დასაშვები იქნება შენატანის შეტანის ვადის შემცირება, თუმცა გაზრდა დაუშვებელია. შენატანის განხორციელების ვადის დარღვევა აქციონერისთვის გამოიწვევს ისეთ უარყოფით შედეგებს, როგორიცა შეუტანელ შენატანზე პროცენტის დარიცხვა, ასევე აქციონერისთვის წილის ჩამორთმევა და ნაწილობრივ განხორციელებული შენატანის დაკარგვა.
- გარდა კაპიტალის შექმნის და შენარჩუნების ვალდებულებისა, სააქციო საზოგადოების აქციონერი ვალდებული იქნება საზოგადოებას მიაწოდოს გარკვეული სახის ინფორმაცია.
- აქციონერის უფლება მიიღოს განთავსებულ კაპიტალში მისი აქციების ოდენობის პროპორციული დივიდენდი კანონპროექტის მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ შემთხვევებში.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედება, პარლამენტის მიერ მისი მიღების შემთხვევაში 2021 წლის 1 ნოემბრიდან იგეგმება.

აღსრულების კოდექსი

აღსრულების სამართლის რეფორმის მიზნით საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა აღსრულების კოდექსის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს უკვე მოძველებული და ხარვეზიანი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის ჩანაცვლებას.

სიახლეთაგან გამოსაყოფია:

- აღმასრულებელთა პალატის შექმნა - უქმდება კერძო აღმასრულებლის და აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის ინსტიტუტი, შესაბამისად აღმასრულებელთა პალატაში შევა ყველა აღმასრულებელი, რომელთაც განესაზღვრებათ სამოქმედო ტერიტორიები. აღმასრულებელთა შორის საქმეთა განაწილება მოხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, თუმცა კანონის ამოქმედების შემდეგ გარკვეულ ეტაპზე იგეგმება აღმასრულებელთა მიერ საქმეთა ელექტრონული სისტემით განაწილებასთან ერთად მიიღონ კრედიტორთა აღსასრულებელი მოთხოვნებიც ხელშეკრულების საფუძველზე.
- აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითადი ფუნქცია იქნება აღმასრულებელთა საქმიანობის დისციპლინური, ეკონომიკური და სამართლებრივი ზედამხედველობის გაწევა, აღსრულების ეროვნული ბიურო შეინარჩუნებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა სააუქციონო მომსახურების გაწევა აღმასრულებლებისთვის ან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას ქონების მეურვის ან/და გაკოტრების მმართველის ფუნქციების შესრულება.
- კანონპროექტით იქმნება ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი იქნება და ექნება მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის საქმეების აღსრულების პრეროგატივა.
- პროექტით იცვლება გამარტივებული საქმის წარმოების ფარგლებში აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენცია, კერძოდ ბიურო უფლებამოსილი იქნება დაარეგისტრიროს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება და ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება გამოსცეს მხოლოდ რეგისტრირებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებით.

- იცვლება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების წესებიც - სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს მიერ, აღსრულების ეროვნული ბიუროს ან პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე.
- აღსრულების ეროვნულ ბიუროს ემატება ახალი ფუნქცია - ვალდებულების შესრულება დეპონირებით. ბიუროს უფლება ექნება მოახდინოს ნივთების დეპონირება, მაშინ როცა ნოტარიუსს კვლავ რჩება ფულის და ფასიანი ქაღალდების დეპონირების უფლებამოსილება.

შესაბამის ცვლილებებთან სათანადოდ მომზადების მიზნით იგეგმება, რომ კანონპროექტი, მისი მიღების შემთხვევაში, ამოქმედდეს 2021 წლის 1 ოქტომბრიდან.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.